თიბისი ბანკი

# ტენდერი შიდა სახმელეთო გადაზიდვების მომსახურების შესყიდვაზე 2 წლის ვადით

## სატენდერო დოკუმენტაცია



სს “თიბისი ბანკი” გიწვევთ  ღია ელექტრონული ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

## I. მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 24.06.2025წ. 12:00 საათიდან 16:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
არჩილ მინდიაშვილი (ლოგისტიკა)  599 303 418   AMindiashvili@Tbcbank.com.ge

**სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან  დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი (შესყიდვები) 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის  ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

- გამარჯვებული გამოვლინდება საუკეთესო ფასის საფუძველზე. საუკეთესო ფასის დადგენა ხდება სამუშაოების პრეისკურანტის ერთობლიობით.
- ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს. ამასთან, ხსენებული მოთხოვნები გამყიდველის მიერ დაცული იქნება ბანკთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამასთანავე, გამყიდველი ვალდებულია ბანკისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაცია განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით.
- გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს  საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

## II. ტექნიკური მოთხოვნები

გამარჯვებულთან გაფორმდება 2 წლიანი გენერალური ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კონტრაქტორი უმეტესად თბილისის მასშტაბით მოგვემსახურება გადაზიდვის სამუშაოების მიმართულებით ქვეყნის სრული მასშტაბით შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე მომსახურების ანაზღაურების მეთოდით.

ბანკის შეხედულებისამებრ გამარჯვებულთან შესაძლოა გათვალისწინებული იყოს 3 თვიანი საგამოცდო პერიოდი.

წინადადებების განხილვის ეტაპზე დაიშვებიან ის პრეტენდენტები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

1) მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
2) მოთხოვნის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ადამიანური რესურსი და კვალიფიკაცია;
3) მოთხოვნის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

## III. პრეისკურანტით შეთანმხებული ფასების ქვეშ შესასრულებელი სამუშაოები

**შიდა გადაზიდვების მომსახურება ითვალისწინებს** თანამშრომლების სამუშაო ინვენტარის, ბანკის კუთვნილი ავეჯის, კომპიუტერული ტექნიკის, მარკეტინგული მასალების და და სხვადასხვა მოწყობილობების გადაზიდვას ბანკის ერთეულების ფარგლებში და საჭიროებისამებრ ბანკის გარე ობიექტებზე შემსრულებელი კომპანიის რესურსით (პერსონალი და ავტომობილები);

**ყოველდღიური გადაზიდვები (თბილისი):**

- მომსახურება ხორციელდება უწყვეტად ყოველდღიურად დროის ნებისმიერ შუალედში;
- ყოველდღიურად მობილიზებული პერსონალის სავარაუდო რაოდენობა: 10-12 ადამიანი (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს პერსონალის რაოდენობის ზრდა 30 და მეტ ადამიანამდე);

**დამატებითი პირობა:**

- დამატებითი მომსახურება, რასაც არ ითვალისწინებს ხელშეკრულება მოხდება პირადი მოლაპარაკების საფუძველზე სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.
- მძიმე ტვირთების (მათ შორის სეიფები) გადატანა 200-1000 კგ-მდე: ფასი შეთანხმდება ინდივიდუალურად.

## IV. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და პრეისკურანტის განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- ინფორმაცია მოთხოვნის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ადამიანური რესურსის, კვალიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ **(თავისუფალი ფორმით);**
- სრულად შევსებული KYP ფაილი **(ექსელის ფორმატში)** - იცნობდე შენს პარტნიორს;
- ხელმოწერილი და **დასკანერებული** აფიდავიტის ფორმა;